



№ 009085/31

29/06/2021

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის
პრეზიდიუმის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი დირექტორის გიორგი ბაიდარაშვილის
საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ - პრეზიდიუმი) შემდეგი
შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი - გენერალური აუდიტორი;
2. ეკატერინე ღაზაძე - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. დავით გოგიჩაიშვილი - გენერალური აუდიტორის მოადგილე;
4. ცოტნე ქარქაშაძე - სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
5. სოფიო დვალიშვილი - თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. ზაზა შეყილაძე - სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ზაზა გელაშვილი - შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი კეკელიშვილი - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
9. ნოე ქაშიბაძე - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
10. ნატო ზაალიშვილი - იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
11. თორნიკე შერმადინი - ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
12. ალექსანდრე გოგოლაშვილი - აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
13. გიორგი კაპანაძე - ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
14. კახაბერ კირტავა - აუდიტის დეპარტამენტის უფროსი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში;
15. გიორგი გაჩეჩილაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
16. ვაჟა ბრაგვაძე - ადმინისტრაციის უფროსი.

საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი დირექტორი გიორგი ბაიდარაშვილი.

დავის საგანი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 19 მაისს დამტკიცებული თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ აუდიტის N31/36 ანგარიში.

I

აღწერილობითი ნაწილი:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2021 წლის 8 ივნისს საჩივრით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N3206/29) მომართა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილმა დირექტორმა გიორგი ბაიდარაშვილმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 19 მაისს დამტკიცებული თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ აუდიტის N31/36 ანგარიშის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

პრეზიდენტის 2021 წლის 10 ივნისის სხდომის საოქმო ჩანაწერით (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N003239/30), საჩივრის წარმოებაში მიღების ეტაპზე, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის საკითხის გადასაწყვეტად, გიორგი ბაიდარაშვილს განესაზღვრა 5-დღიანი ვადა საჩივრის შეტანის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით საკუთარი წერილობითი მოსაზრების წარმოსადგენად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2021 წლის 24 ივნისს შემოვიდა გიორგი ბაიდარაშვილის წერილობითი მოსაზრება (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N7495/01) აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივრის შეტანის უფლებამოსილების ნაწილში საჩივრის დასაშვებობის საკითხზე.

II

სამოტივაციო ნაწილი:

პრეზიდენტში, საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლისა და შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ განუხილველად დარჩეს ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი დირექტორის გიორგი ბაიდარაშვილის 2021 წლის 8 ივნისის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N3206/29), შემდეგ გარემოებათა გამო:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში აუდიტის ანგარიშზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ამ კანონის თავისებურებათა გათვალისწინებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

ამდენად, აუდიტის ანგარიშზე შეტანილი საჩივრის დასაშვებობის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლებამოსილების დადგენა.

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის ობიექტს უფლება აქვს გაასაჩივროს აუდიტის ანგარიში ამ კანონით დადგენილი წესით.

მოცემული ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების თანახმად:

„1. აუდიტის ობიექტები, რომლებიც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, არიან ადმინისტრაციული ორგანოები, უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

2. აუდიტის ობიექტები, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებისა, უფლებამოსილი არიან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივრონ უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში – კანონით დადგენილი წესით.“.

აუდიტის ობიექტის ცნებას განმარტავს აღნიშნული ორგანული კანონის მე-2 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი - „აუდიტის ობიექტი - პირი, ორგანო, ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, რომელზედაც ვრცელდება ამ კანონით დადგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება.“.

პირთა წრე, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება, დაკონკრეტებულია ამავე ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმად, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება მისი კომპეტენციის ფარგლებში ვრცელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებზე, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე, მუნიციპალიტეტის ორგანოებზე, საქართველოს ეროვნულ ბანკზე, სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის ან/და მუნიციპალიტეტის მიერ 50 პროცენტი და 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებზე, სხვა იურიდიულ პირებზე, ფიზიკურ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე.“

მოცემული ორგანული კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება მიემართება ზემოაღნიშნულ პირთა ისეთ საქმიანობას, რომელიც უკავშირდება საჯარო რესურსების მართვას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2020 წლის აუდიტორული გეგმით განისაზღვრა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის აუდიტის ჩატარება, რომლის საფუძველზე განხორციელებული აუდიტის შედეგად დამტკიცდა აუდიტის N31/36 ანგარიში თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის შესახებ.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების გათვალისწინებით, აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შეიტანოს საჩივარი აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებით, თუმცა გიორგი ბაიდარაშვილს არ წარმოუდგენია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის სახელით აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მხოლოდ ის გარემოება, რომ მომჩივანი არის ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი დირექტორი, არ ქმნის აუდიტის ანგარიშის გასაჩივრებაზე გიორგი ბაიდარაშვილის უფლებამოსილ პირად ცნობის საფუძველს, შემდეგ მიზეზთა გამო:

„სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიზნებისთვის ფიზიკური პირი აუდიტის ობიექტად შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი, როგორც კერძო პირის საქმიანობა დაკავშირებულია საჯარო რესურსების მართვასთან. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქე გიორგი ბაიდარაშვილი, როგორც დირექტორი მონაწილეობდა ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის საქმიანობაში, უფლებამოსილების განხორციელებისას იგი მოქმედებდა არა როგორც ფიზიკური პირი, არამედ როგორც ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენელი. აქედან გამომდინარე, ფიზიკური პირის მიერ საჯარო რესურსებთან მიმართებაში ოფიციალური უფლებამოსილების განხორციელებისას აუდიტის ობიექტს წარმოადგენს ის ორგანო, რომელზეც ვრცელდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული უფლებამოსილება და არა ამ საქმიანობის ფიზიკურად განმახორციელებელი პირი. შესაბამისად, აუდიტის შედეგად შედგენილი ანგარიშის გასაჩივრების უფლება გააჩნია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდს, როგორც აუდიტის ობიექტ ადმინისტრაციულ ორგანოს, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით და არა მის ყოფილ დირექტორს, როგორც ფიზიკურ პირს. პრეზიდენტის მიუთითებს, რომ აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების უფლებამოსილების განსაზღვრასთან დაკავშირებით საგულისხმოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება (N3-ბ-1444-19 31.10.2019), რომლითაც არ დაკმაყოფილდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი თანამდებობის პირების საჩივარი იმ საფუძველით, რომ აუდიტის ანგარიშთან დაკავშირებული საჩივრის შეტანაზე არაუფლებამოსილ პირებს წარმოადგენდნენ. აღნიშნული დავის ფარგლებში მოსარჩელე აპელირებდა მისი, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დაინტერესებული მხარის უფლებაზე გასაჩივროს აუდიტის ანგარიში, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული. შესაბამისად, პრეზიდენტის მიუთითებს, რომ გიორგი ბაიდარაშვილის მიერ ამავე მიმართულებით განვითარებული მსჯელობა მისი უფლებამოსილების დასადასტურებლად, უსაფუძვლოა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ 2021 წლის 8 ივნისის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N3206/29) არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს, ვინაიდან შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლით, 27-ე მუხლით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით,

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ყოფილი დირექტორი გიორგი ზაიდარაშვილის 2021 წლის 8 ივნისის საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის N3206/29) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის 19 მაისს დამტკიცებული თბილისის განვითარების ფონდის 2018-2019 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის N31/36 ანგარიშის თაობაზე დარჩეს განუხილველი.
2. გადაწყვეტილება გასაცნობად გადაეცეთ მხარეებს.

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი




ეკატერინე ღაზაძე
გენერალური აუდიტორის მოადგილე



დავით გოგიჩაიშვილი
გენერალური აუდიტორის მოადგილე



ცოტნე ქარქაშაძე
სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული
ანალიზის დეპარტამენტის უფროსი



აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი




ზაზა შეყილაძე
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის
დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა გელაშვილი



გიორგი კეკელიშვილი
საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ნოე ქაშიბაძე
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ნატო ზაალიშვილი
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



თორნიკე შერმადინი
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ალექსანდრე გოგოლაშვილი
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის
აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კაპანაძე



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / აუდიტის
დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი
კახაბერ კირტავა



გიორგი გაჩეჩილაძე
ინფორმაციული ტექნოლოგიების
ადმინისტრირების დეპარტამენტის
უფროსი



ვაჟა ბრაგვაძე
ადმინისტრაციის უფროსი

